№334 2016 წლის 25 თებერვალი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის პირველი პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 თებერვლის №5/8068 გადაწყვეტილება ქალაქ ახალციხეში, კეცხოველის ქუჩა №6-ში, პირველ სართულზე მდებარე 154.02 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №62.09.58.387.01.500) და ქალაქ ახალციხეში, კეცხოველის ქუჩა №6-ში, მე-4 სართულზე მდებარე 424.81 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №62.09.58.387.01.501) ფართებისა და მათზე წილობრივად

დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**